№ 106
პარასკევი, 18 მაისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

№ 106
პარასკევი, 18 მაისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სახალხო სეირნობა
სა ქ ვ ე ლ - მ ო ქ მ ე დ ო ბ ა ზ რ ი თ უ რ თ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 17-სა და 18 ივნისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ საზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში", სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

**საავთიაქო საქონლით მოვაჭრე**

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика"

(100—43—26)

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის შავის-ქვის მწარმოებელთა კრების

**ს ა ბ ჭ ო**

თანახმად დადგენილებისა, რომელიც 1901 წლის 12 მაისს მოხდა ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტის დამფუძნებელ წევრთა კრებო რჩევაზედ, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულის საზოგადოების წევრთა პირველი **საზოგადო კრება** მოხდება სამშაბათს, 22 მაისს 1901 წელს, დილის 11 საათზედ, კრების საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნებს შეადგენს:

1, არჩევანი კრების თავმჯდომარისა.

2, განხილვა და დამტკიცება ამ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა;

და 3, არჩევანი სხვა-და-სხვა თანამდებობისათვის საჭირო კაცებისა:
ა, გამგეობის წევრებისა;
ბ, საბჭოს წევრებისა და
გ, სარევიზიო კომისიის წევრებ-სა.

(3—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9 - 10 საათ.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროთერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.


## ფელეტონი

**მარიამ შოტლანდელი**

ხუთ-მოქმედ. დრამა
თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.
თარგმანი ინ-ანისა.
(შემდეგი *)

**მოქმედება მესამე.**

ჯონ ნოქსის სახლი.

**გამოსვლა I.**

ნოქსი. უილიამ ტეილორი.

**ნოქსი.** (ვეებერთელა წიგნსა კითხულობს. კარებს აკაკუნებენ). შემოდით! (უილიამ ტეილორი შემოდის).

**ტეილორი.** კეთილის-მყოფელო მასწავლებელო! შეიძლება ორიოდე წამი დამითმოთ სალაპარაკოთ?

**ნოქსი.** სიამოვნებით, რატომ არა!

**ტეილორი.** მე ახლა მეფეს, უბედურს ჰენრიხს, ვემსახურები პაჟად და მოველ, რომ დახმარება გთხოვოთ მისთვის.

**ნოქსი.** მე მთხოვოთ?

**ტეილორი.** სხვაგან სადღა ეძებოს უბედურმა იგი, თუ არა ისევ ეკკლესიის ერთგულ მსახურთან? სასოწარკვეთილების დროს ნუგეშის ცემა სხვას ვის შეუძლიან, თუ არა თქვენ?

**ნოქსი.** ჰენრიხ დარნლეი მიგონებს, განა?

**ტეილორი.** დიაღ,—საწყალს დენბარის ციხეში საქმე ცუდად წაუვიდა! სულით მთლად დაეცა, ახლოს აღარავინ უდგება...

**ნოქსი.** ეს ხომ მხოლოდ დაძლეულ სულის წამის ოხვრაა—აბა, მაგას ყურადღებას ვინ მიაქცევს?

**ტეილორი.** ო, გარწმუნებთ არა. იგი მეტის ყურადღების ღირსია. მას ყველანი მეტად სასტიკად მოეპყრნენ: დედოფალიც და სხვანიც; მისმა ბუნებით ჩჩვილმა და რბილმა სულმა ეს დიდი ბრძოლა ვერ აიტანა; საჭიროა უთუოდ დაეხმაროს ვინმე: და აი, სწორედ ეხლაა დრო, რომ ჭეშმარიტს გზას დაადგეს იგი.

**ნოქსი.** გულ-წრფელად მოქცევა, სასტიკი შენანება მას არ შეუძლიან: იგი ლერწამივით ირყევა მუდამ.

**ტეილორი.** მაგრამ კარგად იცით, როგორ ძლიერად უყვარდა მას დედოფალი; ეს გარემოება-კი თავდებია იმისი, რომ სული ძლიერი აქვს,—საჭიროა მხოლოდ გაამხნევოს ვინმემ.

**ნოქსი.** დიალაც შეიძლება, რომ დედოფალი აღარ ჩაერეოდეს საქმეში.

**ტეილორი.** ამისი შიში-კი არ არის. დედოფალს ეხლა სძულს იგი.

**ნოქსი.** განა ახალი რამ მოხდა?

**ტეილორი.** დედოფალმა მოსთხოვა, რომ დარნლეის შეთქმულებთან ერთად მოქმედებაზედ სახალხოდ უარი ეთქვა. უამისოდ ხომ ვერც დასჯიდა მათ; დარნლეიც ველარ გამაგრდა და დასთანხმდა. ამის გამო შეთქმულებმა მაგიერი გადაუხადეს და დაუმტკიცეს, რომ დარნლეის წინედ ხელიც-კი მოუწერია ერთს ხელ-შეკრულობაზედ, რომლითაც დედოფალს ტახტიდგან გადაგდებას თურმე უპირებდნენ. ამას-კი, რასაკვირველია, დედოფალი არასოდეს არ აპატიებს.

**ნოქსი.** აი, ხომ ჰხედავ, რა საცოდავი ქმნილებაა.

**ტეილორი.** დედოფალს რომ ეთხოვნა მშობელი დედა შეახვენო, ამასაც-კი აასრულებდა იგი. ეგ სიყვარულის ბრალია.

**ნოქსი.** მაშ, შენის აზრით, ერთგულობა შეუძლიან?

**ტეილორი.** შეუძლიან და აგრე! მხოლოდ გრძნობას ვერ ერევა: იჭვიანობით კვლავ თავი მოაბეზრა.

**ნოქსი.** რიჩჩიო ხომ მკვდარია?

**ტეილორი.** თვით მკვდარზედაც-კი იჭვიანობდა, ყოველივე წვრიმალი რამ უსაზღვროდ აბრაზებდა; დედოფალს ნებას არ აძლევდა რიჩჩიოს ხსენებისათვის პატივი ეცა. შემდგომ-კი უფრო უარესობა ჩაიდინა: როდესაც დედოფალს ვაჟიშვილი მიეცა, მან, დედობრივის გრძნობით გატაცებულმა, ახლად დაბადებულის ბავშვის მამის ნახვა მოისურვა,—დარნლეიმ-კი, შურით მოცულმა, აღიარა, რომ შვილს ჩემად არა ვცნობო! ეჭვი არ არის, არც ამას აპატიებს!

**ნოქსი.** როგორც სჩანს, მასში ბავშვურს ჯიუტობასა და სამარცხვინო სისუსტეს თავი ერთად მოუყრია.

**ტეილორი.** მაგრამ ამ ბავშვს ერთს დროს იმოდენი ძალა ჰქონდა, რომ თვით დედოფალსაც-კი მხურვალე სიყვარული აღუძრა; დედოფალს რომ მტკიცე და სწორე ხასიათი ჰქონოდა და ამასთან მისის სუსტი სულის ხელმძღვანელობა მოესურვებინა, დარნლეი ნამდვილი ქმარი იქმნებოდა. აქ ორივენი დამნაშავენი არიან.

**ნოქსი.** როგორც სჩანს, იგი მთლად დედოფალს ემორჩილება და წააგავს იმ ნაფოტს, რომელსაც ბავშვები წყალში ჩააგდებენ ხოლმე და მერმე თვითონვე ხელოვნურად წყალს აუღელვებენ. არა, უილიამ, მაგ საქმეს მე ვერ ვიკისრებ. უფრო საყურადღებო საქმეები მაქვს. (კითხულობს).

**ტეილორი.** მაპატიეთ, მასწავლებელო! უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე თვითონ ჩავაგონე თქვენთან მოსულიყო; ახლა იგი მოუთმენელად მიმელის, რა პასუხს მივუტან...

**ნოქსი.** გეპატიოს-კი, რადგანაც კეთილი განზრახვა გქონია, მაგრამ უნდა გცოდნოდა, რომ ასეთ წამიერ სინანულთან არავითარი საქმე არ შეიძლებოდა მქონოდა! ამისთვის არა მცალიან! (კითხულობს. პაუზა).

**ტეილორი.** მეც აგრეთივე საცოდავი და უშემწეო ვიყავი, პირველად რომ თქვენ მოგმართეთ.

**ნოქსი.** ხე თუ ჯერ კიდევ ნედლია, შეიძლება გადირგას, მაგრამ გამხმარის გადარგვა-კი ფუჭია.

**ტეილორი.** თუ ერთი ნედლი ყლორტი მაინც არის შერჩენია, იმედია იხეირებს.

**ნოქსი.** რომ შერჩენოდეს, მეც შევნიშნავდი. ახლა-კი წადი, უილიამ! დიდის ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, დროს ძვირად უნდა ვაფასებდე.

**ტეილორი.** (სხვა მხარეს). ის-კი იქ, კარებს უკან, იცდის! ამ კარებსაც რომ უნუგეშოდ გაშორდეს, სიკვდილის მეტი აღარა დარჩენიარა საცოდავს!

**ნოქსი.** კიდევ გინდა რამ?

**ტეილორი.** არა, მასწავლებელო!

**ნოქსი.** უილიამ, ცუდს სახლში მოჰხვედი შენ; მაგგვარს ცთუნებას უნდა მოჰრიდებოდი.

*) იხ. „ივერია" № 100.

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია ქუთაისის ქალაქის მოურავად არჩეული ნაფიცი ვექილი დ. ა. ლორთქიფანიძე.

*** რადგანაც 20 და 21 მაისისათვის მუშტაიდის ბაღი თავისუფალი არა ყოფილა, ბაზარი და სეირნობა „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება 17 და 18 ივნისს.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტმა გამოფენის განყოფილებათა ყველა მმართველთ დაუნიშნა დღეები, როდესაც მათ სამეურნეო საზოგადოების სადგომში თავიანთ განყოფილების შესახებ მთხოვნელნი უნდა მიიღონ ხოლმე: სატყეო განყოფილების მმართველი ბ-ნი ფ. ა. შიმანოვსკი მიიღებს მთხოვნელებს დილის 10—11 საათამდე სამშაბათობითა და ხუთშაბათობით; სამთო განყოფ.-მ. შენგერი—ხუთშაბათობითა და შაბათობით მიიღებს ნაშუადღევის 2—3 საათამდე; სახელოსნო განყ.—ა. ბაბოვი ოთხშაბათობითა და შაბათობით 2—3 საათამდე; მიწათ-მოქმედებისა—ვ. ნ. გეევსკი —სამშაბათობით 9—$9\frac{1}{2}$ საათამდე; საპედაგოგო განყოფილებისა—დიმიტრიევი ორშაბათობითა და ხუთშაბათობით დილის 10—11 საათ., მებაღეობისა—პრილიპკო ორშაბათობით 12 1 საათამდე, სამხატვრო განყოფილებისა ხოდოროვიჩი—შაბათობით 12 საათზედ; სამეცნიერო სასტატისტიკო განყ. ს. გლასეკი ოთხშაბათ. და შაბათობით—11—12 საათამდე და თევზის მრეწველობისა დოლუხანოვი—ოთხშაბათობითა და პარასკევობით 11—12 საათამდე.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტს ოთხშაბათს, 16 მაისს, გამოფენის კომისარის თავ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა; ანდრონიკაშვილმა წარუდგინა კომიტეტს განსახილველად თავის მიერ შედგენილი პროგრამა გამოფენაზედ გასამართ სხვა-და-სხვა გასართობების მოწყობის შესახებ. კომიტეტმა პროგრამა მიიღო და დაამტკიცა აგრეთვე მოხსენება, რომ გამოფენაზედ საღამოს გასართობებზედ შესასვლელი ფასი 20 კაპ. ნაცვლად 30 კაპ. დაწესდეს. ამავე სხდომაზედ, სხვათა შორის, განხილულ იქმნა აუფერმანის განცხადება, რომ ნება მისცემოდა მას გამოფენაზედ მმოძრავი სურათებიანი აპარატი გაეკეთებინა. კომიტეტმა აუფერმანს დაპრთო ნება მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ იგი გამოფენის სასარგებლოდ შემოსავლიდგან 25% გადასდებს.

*** ქალაქის გამგეობის ბოლონდელს სხდომაზედ მიწვეულ იქმნენ ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი, ქალაქის ბეითალი და სხვანი, რომელთაც ერთად განიხილეს წარმოდგენილი მასალა იმის შესახებ, თუ ტფილისში ქალაქის საკუთარი ხორცით სავაჭრო დუქნები როგორ უნდა მოეწყოს. როგორც სხდომაზედ წაკითხულ მოხსენებიდგანა სჩანს, ქალაქს ერთხანად ამ დუქნების მოწყობა-მომართვა დაუჯდება 45 ათასი მანეთი და თითქმის ამდენივე ყოველ წლობით. სხდომაზედ, სხვათა შორის, წარმოითქვა აზრი, გამგეობას საკუთარის დუქნების მოწყობით სახეში აქვს ის გარემოება, რომ მცხოვრებთ საკმარისი და საუკეთესო ხორცი მიაწოდოს სრულიად თანასწორი პირობებით სხვა ვაჭრებთან ერთად. გამგეობა ვერავითარს გარდაწყვეტილს აზრს ვერ დაადგა და დაადგინა ეს საკითხი შემდეგს სხდომაზედ ხელ მეორედ გადაათვალიერონ.

*** 15 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განუხილავს სხვათა, შორის, კახეთის მემამულის ბ. წერეთლის განცხადება საბაღოსნო სკოლისათვის კახეთში 10 დესეტინა მიწის დათმობის შესახებ და დაუდგენია გაგზავნოს ინსტრუქტორ-აგრონომი დემენტიევი ბ-ნ წერეთლის მამულის დასათვალიერებლად.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ-პავილიონის გასამართავად, გამოფენის გამგე კომიტეტს 40 ათასი მან. გადაუდვია.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიას უკვე შეუძენია ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის ახალის შენობის გვერდით, ქ-ნ პონდოევისაგან 45 ათას მანეთად მიწა სემინარიის შენობის ასაგებად.

*** როგორც „კასპი“ გადმოგვცემს, ამას წინად ბაქოში ხელოსანთ კრება ჰქონიათ, რომელზედაც ერთს სიტყვა წარმოუთქვამს უსაქმოდ დარჩენილ ამხანაგთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. კამათიდგან გამორკვეულა, რომ ამ ჟამად ბაქოში 5,000 კაცი ყოფილა უსაქმოდ დარჩენილი. თითქმის ყველა ქარხანა ამცირებს მოსამსახურეთა შტატს, ზოგი სულაც სპობს წარმოებას, რის გამო აუარებელი მუშა ხალხი რჩება ულუკმა-პუროდ. კრებას დაუდგენია მუშათა და ხელოსანთა შორის ხელის მოწერა გამართოს უსაქმოდ დარჩენილთა სასარგებლოდ.

*** ტფილისის გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ქალაქის საბჭოს 10 აპრილის დადგენილება ტფილისში ნაგავის გადასაზიდ ურმების შემოღების შესახებ.

*** 27 მაისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სახალხო კითხვათა კომისიის წევრთა საზოგადო კრება მოხდება სახალხო წარმოდგენათა ანგარიშების განსახილველად და სექციების ახალ წევრთა ასარჩევად.

*** 10 მაისს ტფილისის ქალაქის მოურავს ტფილისის გუბერნატორისათვის წარუდგენია დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება ინჟენერ ბრაილოვსკისა და ხატისოვთან მოსალაპარაკებლად არჩეულ კომისიის შესახებ და აგრეთვე შუამდგომლობა ალუძრავს მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართოს ინჟ. ბრაილოვსკისა და ხატისოვს საბატანიკო ბაღამდის ტუნელი გაიყვანონ.

*** გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალ-ყურეს თ. ჟორდანიას ებოძა წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი.

*** განსაკუთრებულს კომისიას, დ-რის სტეფანოვის თავმჯდომარეობით, განუხილავს ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო კასის დაარსების პროექტი და ზოგიერთა ცვლილებანი შეუტანია ამ პროექტში მოსამსახურეთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად.

*** მთავრობამ ნება დართო ბათუმსა და აბასთუმანს შორის ფოსტის ეტლების მიმოსვლისა.

*** წარსულს კვირას ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დუშეთის მაზრის მცხოვრები ივანე აგბაძე [illegible] თავის მეზობლის ნადიბაიძის [illegible] მკვლელობაში დამნაშავედ იქმნა ცნობილი და ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლის ვადით გაგზავნა მიუსაჯა. აგბაიძეს ნადიბაიძისათვის თავისს საწოლს სახლში მიუსწვრია იმ დროს, როცა მას თურმე მისს ლოგინზედ ეძინა და ცოლი გვერდით უჯდა; აგბაიძეს მაშინვე ეშვი აუღია, ცულისათვის ხელი უტაცნია, დაურტყავს და იქვე მოუკლავს.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ტფ. პოლიცმეისტერს დაუვალებია მე-5 ნაწილის ბოქაულისათვის, ჩამოართვას ხელწერილები დახურულ ბაზრის შენობათა პატრონებს იმის შესახებ, რომ 7 დღის განმავლობაში შეუდგნენ ამ შენობათა დანგრევას და ერთს თვეში გაათავონ ეს საქმე, ან და 7 დღის განმავლობაში აირჩიონ პასუხისმგებელი ტეხნიკოსი და მისის ზედამხედველობით სრულიად გადააკეთონ დახურული ბაზრის შენობები ორის თვის განმავლობაში იმ პირობით-კი, რომ, თუ საგუბერნიო ტეხნიკოსებმა არ მოიწონეს გადაკეთებული შენობა, იგი დანგრეულ იქმნება. შენობათა პატრონებისაგან არჩეული ტეხნიკოსი ვალდებულია 7 დღის განმავლობაში წარუდგინოს საგუბერნიო გამგეობას გეგმა.

*** მთავრობამ ნება დართო გადადებულ იქმნას საერობო თანხიდგან დამატებითი ფული 600 მანეთი სიღნაღის მაზრის სოფ. ქედში გაჩენილ კალიის მოსასპობლად.

*** მცხეთიდგან სწერენ „ცნობის ფურ.“-ს: „ბრბო ყაჩაღებისა, რომელსაც გამოედევნა ბოქაული, გორის მაზრიდგან გადმოსულიყო ს. ქსოვრისში და ერთი მდიდარი მებაღე მოეკლა. ბოქაული იქით გაეშურა; ყაჩაღები-კი წეროვნისაკენ გამოქცეულიყვნენ. წეროვანში

---

ტეილორი. მე მხოლოდ ყველასაგან დავიწყებულსა და ყველაზედ უბედურს ვეძიებდი!

ნოქსი. ეგ საქებია მაგრამ ახლა-კი მარტოდ დამტოვე. (კითხულობს).

ტეილორი. მშვიდობით მასწავლებელო! (სხვა მხარეს). რაც გახდება—გახდება,—ვეცდები!

ნოქსი. მშვიდობით, უილიამ! (ტეილორ გადის, ნოქსი კვალად კითხულობს, შემდგომ შეჩერდება). რა ღრმა აზრია! ადამიანის ბრძნული სიტყვა ძვირფასს ოქროსა ჰგავს; მას თავისს დროზედ, მართალია, ფასი აქვს, მაგრამ დრო გავა—წარწერა გადილესება და სახმარად აღარ ვარგა. ღვთის სიტყვა-კი ალმასსა ჰგავს: იგი არასოდეს არა ცვდება და ერთთავად სწორადა ბრწყინავს, მუდამ ელვარებს! (კარების კაკუნი ისმის). შემოდით!

გამოსვლა II.

ნოქსი. დარნლეი (პლაშჩში გახვეული).

დარნლეი. მარტოდ ხართ?

ნოქსი დიახ!

დარნლეი. უბედურს ვერაფრით ანუგეშებთ?

ნოქსი. რატომ არა.

დარნლეი. (პლაშჩს გადიხდის). ვერა მცნობთ?

ნოქსი. (ადგება). მეფე!

დარნლეი. არა, მეფე აღარა ვარ! თქვენ წინ მხოლოდ უბედური ჰენრიხ დარნლეი სდგას!

ნოქსი. (ცივად). რისთვის მოხვედით?

დარნლეი. რჩევისა, ნუგეშისა და დახმარებისთვის,—მაგრამ თვითონ მეც არ ვიცი რა მინდა; ეს-კი ვიცი, რომ აღარ მყავს ადამიანი, რომელსაც შეიძლებოდეს მივმართო ხოლმე სათხოვრად!

ნოქსი. თქვენ ხომ უარ-ჰყავით ჩვენი სარწმუნოება და კათოლიკობა მიიღეთ;—ნუგეშიც მაშ იქ ეძიევით.

დარნლეი. სამწუხაროდ, იქ ვერა ვპოვე იგი, და აი მოვედი თქვენთან.

ნოქსი. ჩვენი ეკკლესია უფრო სასტიკია.

დარნლეი. ეკკლესიას-კი არა... სულით ძლიერს კაცს ვეძებ; გამხნევება და მხრის დაჭერა მინდა მე...

ნოქსი. (წიგნს დასდებს, დარნლეისთან მივა და თვალებში ჩააცქერდება). რა გინდათ?

დარნლეი. მინდა როგორმე თავი დავიხსნა: დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს და თავში მხოლოდ თავის მოკვლა მიტრიალებს.

ნოქსი. და მერმე, წამიერის დროებით ტანჯვისა გამო სამუდამო ტანჯვასა რჩეობთ?

დარნლეი. ვისაც ამ ქვეყნად ჩემებრ უტანჯნია, ღმერთი იქ, იმედია, აღარ დასჯის.

ნოქსი. ღმერთი კაცს-კი არა, ცოდვასა ჰსჯის. თუ რომ მაგ ცოდვას თან წაიღებთ, მაშინ სასჯელი იქაც მოგელით.

დარნლეი. სადღა წავიდე მაშ? მთელი ეს ქვეყანა, სიცოცხლე მხოლოდ საყვედური, სიძულვილი და ტანჯვა ყოფილა!

ნოქსი. დაჯექით, მოვილაპარაკებით.

დარნლეი. მაგრამ ძალიან სასტიკად ნუ მომეპყრობით.

ნოქსი. (სკამს აიღებს და დარნლეის გვერდით მოუჯდება). თქვენ გადუდექით თქვენს დედოფალს ელისაბედსა და სამშობლოს, რომ ეს დედაკაცი ხელთ გეგდოთ, განა?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. სარწმუნოება, რომლითაც აღიზარდეთ, უარ-ჰყავით და ესაც მარიამისათვის, არა?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. შემდეგ-კი დასცინოდით კიდეც ამ სარწმუნოებას, არად აგდებდით?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. მაგრამ, როგორც-კი მარიამზედ ეჭვი აიღეთ, მაშინვე მასაც დაცინვა დაუწყეთ იმითი, რომ თავაშვებულს, გარყვნილს ცხოვრებას მიეცით თავი?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. მერე-კი სახელმწიფო დანაშაულობაც ჩაიდინეთ და შეთქმულებს გაეცით იგი?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. ბოლოს-კი თითონ შეთქმულნიც გაეცით?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. მაგრამ შეთქმულებმა მაგიერი გადაგიხადეს და დედოფალს აცნობეს, რომ იმ ხელშეკრულობაზედ, რომლითაც მას ტახტიდგან გადაგდებას უპირებდით, შენც ხელი გეწერა?

დარნლეი. დიახ.

ნოქსი. შეთქმულებს თქვენ წინადვე სძულდით, შემდეგ მარიამსაც შესძულდით, მერე-კი ხალხსაც! მაშინ გაქცევა განიზრახეთ, მაგრამ ინგლისში ვერ წახვალთ, რადგანც ყველა თქვენი მტერია, ვერც საფრანგეთში—ყველა დედოფლის მეგობარია; ერთის სიტყვით, ვერც ერთს კათოლიკეთა ქვეყანაში ვერ წახვალთ, რადგანაც დედოფალი ყველგან უყვართ და ვერც პროტესტანტთა ქვეყანაში, რადგანაც იქ ყველას სძულხართ.

დარნლეი. ღმერთო ჩემო, ეგ მართალია! სადღა წავიდე? ყველა ქვეყანა, ყველა მხარე, ვით ხალხის გულიც, ჩემთვის სრულიად დახშულნი არიან... ო, თქვენ მაინც შემიბრალეთ!

ნოქსი. ვისაც ამ ქვეყნად ადგილი არა აქვს, მას ცა ადვილად შეუნდობს ხოლმე. ჭეშმარიტად მსურს დაგეხმარო, შვილო ჩემო.

დარნლეი (დაიჩოქებს) ოჰ. გაფიცებთ ზეცას, მიშველეთ რამე! (ნოქსის ტანთ-სამოსელსა სტაცებს ხელს).

ნოქსი (წყნარად მოიშორებს და თმაზედ ალერსით გადაუსვამს ხელს). დიაღ, გიშველი ღვთის გულისათვის! ნუ გეშინიან, კვალად დადგება დღე და თავს დამშვიდებულად, დაწყნარებულად იგრძნობ.

დარნლეი. აქვე, დედამიწაზედ?

ნოქსი. დიახ, აქვე. ღმერთი ხშირად დასჯის ხოლმე კაცს, რომ ამითი თვითონ მასაცა და ხალხსაც ნათლად დაუმტკიცოს, რომ იგი ყოვლად მართალი და მოწყალეა! უამისოდ ადამიანი ვერ განვითარდებოდა!

დარნლეი. ეხლა-კი აღარ მოგშორდები!

ნოქსი. მაგრამ იძულებული იქმნები წახვიდე, შვილო!

დარნლეი. არა, მხოლოდ შენ თუ შესძლებ იგი როგორმე გადამავიწყო. ოჰ, რომ იცოდე მთელი ჩემი სიცოცხლე როგორ მეყვარებოდი, რომ ამ ვნებას როგორმე დამხსნიდე, მერწმუნე სიყვარული ძლიერად შემიძლიან!

ნოქსი. მხოლოდ მე-კი ნუ! შეიყვარე ის, ვინც მარადის აქ იქნება, თორემ მე ჩქარა წავალ!

დარნლეი. მესმის.

ნოქსი. და აი, სწორედ ის გიხსნის, ის დაგეხმარება!

დარნლეი. მაგრამ არც შენ უნდა დამტოვო; ყოველს შენს სიტყვას ვისმენ და ღრმად გულში ეიწერგავ; გთხოვ, ნუ დამტოვებ!

ნოქსი. შვილო ჩემო, სარწმუნოება დიდი გაქვს,—გაიკურნები.

დარნლეი. ო, ნოქს, შეიძლება ყოველთვის მოვიდე ხოლმე შენთან, როგორც შვილი?

ნოქსი. გამხნევდი. დღეიდამ უკვე ჩემი შვილი ხარ.

კეტებით დაჰხვედროდნენ, მაგრამ შეია-რაღებულ ყაჩაღებს თოფი ესროლათ და ერთი გლეხი იქვე მოეკლათ; 13 მაისს, დილის რვა საათზედ, არაგვის პირას მისულან და მთელი სამი საათის გან-მავლობაში წვალებულან წყალში გასვ-ლას, რადგანაც ოთხ კაცს ჰყოლოდათ მხოლოდ ორი ცხენი, რომლებიც წერო-ვანში მოეტაცნათ. კეტებით გლეხები შორიახლოს იდგნენ და ახლოს ვერ მი-დიოდნენ, მხოლოდ ქვებს ესროდნენ. ასე თავისუფლად გაემგზავრნენ საგურა-მოსაკენ, სადაც მამასახლისი დახვდათ. ყაჩაღებმა გაატიტვლეს, ტანისამოსი თან წაიღეს და მამასახლისის ბიჭიც თან წაიყვანეს, რომ გზა ესწავლებინა. ს. მამკოდა გაუვლიათ ბიჭთან ერთად და შემდეგ სად წავიდნენ, აღარ იციან“.

*** კავკასიის ოლქის საინტენდანტო გა-მგეობის ექზეკუტორი პოლკოვნიკი დევდო-რიანი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან გენერალ-მაიორის ჩინით, მუნდირითა და პენსიით.

*** ტფილისის სატელეფონო სადგურში 36 მოხელეთაგან მიღებულ იქმნა სულ 14 მეტელეფონე ქალი, დანარჩენნი ჩარიცხულ იქმნენ კანდიდატებად. თითო მეტელეფონე ქალს ჯამაგირად დაენიშნა 396 მან. წე-ლიწადში.

*** 15 აპრილს, ამიერ-კავკასიის მხრის ღუზოლუმის ტელეგრაფის კანტორის უფ-როსად ნამყოფს მ. ხაინდრავას მისის უდი-დებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სა-ხელზედ დეპეშით თხოვნა გაუგზავნია, რო-მელშიაც ბ-ნი ხაინდრავა სწერს, ჩემის ჯა-მაგირიდგან 8 წლის განმავლობაში აკლე-ბდნენ 6%-ს ემერეტიულ (საპენსიო) კასის დასაარსებლად და ეხლა, რადგანაც ეს კასა არ იქმნება დაარსებული, ვითხოვ შეგრო-ვილ ფულის უკანვე დაბრუნებასაო. ამის გა-მო ბ-ნ ხაინდრავას პასუხი მიუღია, რომ ამ შუამდგომლობის შესახებ ჯერ-ჯერო-ბით არავითარი განკარგულება არ იქნება მოხდენილი, ვიდრე ამ საგანს მინისტრთა კომიტეტი არ განიხილავსო. ხოლო ამ ჟა-მად ყველა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქებს გაეგზავნა ბრძანება, რომ ზემოხსენებულ კასის დასაარსებლად შეკრებილი ფული მოხელეთ უკანვე დაუბრუნდეს სარგებლია-ნად. ამ ფულების გაცემა სახელმწიფო ბა-ნკიდგან ამა მიმდინარე წლის დამლევიდგან დაიწყება.

## წერილი ს. ტობანიერიდგან.

აპრილის 20 რიცხვიდგან ჩვენკენ მეტად ცუდი ამიდები სდგას; ორი დღე ერთად დარი არ გვინახავს, გამუდმებუ-ლის წვიმებისა გამო მაისი გიორგო-ბისთვე გვგონია; თან სიცივეებიც ისე-თია, რომ ცეცხლის ანთება დაგვჭირდა. მუშა ხალხი შუა აპრილიდგან თესვას ემზადებოდა და დღემდის კიდევაც გა-თავდებოდა ხვნა-თესვა, რომ წვიმიანობას არ შეეშალა ხელი, მაგრამ უამინდობამ ხელი დიდად შეუშალა. თუ ვინმემ მოა-სწრო თესლის მობნევა, ისიც, ვგონებ, მიწაში ჩალპეს, რადგანაც ჯერ არ გამო-თბარა. აბრეშუმის ჭიისათვისაც მავნებე-ლია ასეთი ნოტიო დღეები. დღეს, 12 მაისს, შუადღისას მზემ გამოანათა, მა-გრამ საღამოზედ ცა ისევ შავმა ღრუბ-ლებმა დაჭფარა და საიმედოს არას გვი-ქადის.

27 აპრილს აქ მოვიდა ქ. ტფილი-სიდგან ტოპოგრაფი კაპიტანი კლიჩევი, რომელმაც მეორე დღიდგანვე მუშაობა დაიწყო ტობანიერისა და მუხაურის სა-ზოგადოებაში; ცუდი ამინდები ამასაც მეტად ხელს უშლის. ბ-ნი კლიჩევი ჩვენში დარჩება მაისის დამლევამდე, შემ-დეგ გურიაში გადავა, პირველ სექტემ-ბრიდგან-კი ისევ ჩვენს კუთხეში განა-გრძობს მუშაობას.

ტობანიერის საზოგადოებას თვინახსოთა სამინისტროსაგან ნება-რთვა მოუვიდა, რომ დაარსებულ იქმნას ამ საზოგადოე-ბაში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგო-ბა; საჭიროა ამ საქმეს მალე მოებას თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში შე-გნებულ კაცთა რიცხვი ერთობ მცირეა და როგორ დაბოლოვდება ეს საქმე, ჯერ ვერაფერს ვიტყვით. კარგი იქმნება, თუ ჩვენის კუთხის მღვდლები ამ დაწესებუ-ლების სარგებლობას თავ-თავიანთ მრევლს ჩააგონებენ და მით დახმარებას მოგვცე-მენ.

როგორც „ივერიის“ მკითხველებს ახსოვსთ, წარსულ წელს, ივნისის 19-ს, აქაურს ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში წლიური გამოცდა მოხ-და იმ მოსწავლეებისა, რომლებიც სას-წავლებელში კურსს პირველად ათავებ-დნენ. (სასწავლებელი ორ-კლასიანად 1897 წელს გადაკეთდა). გამოცდის დროს კომისიას მოჰხსენდა აზრი, რომ მოსწავლეები გამოცდილ იქმნენ იმ წე-სითა და კანონით, რომლითაც მათ სამ-ხედრო ბეგრის ვადის შესამოკლებლად შეღავათიანი მოწმობა ეძლევათ. კომი-სიის თავმჯდომარემ, საერო სასწავლე-ბლების ინსპექტორმა ბ-ნმა სავიჩმა აღ-გვითქვა, რომ, რადგანაც სასწავლებელს ოთხი მასწავლებელი ჰყავს, ხუთის წლის კურსი არსებობს და პროგრამაც სავსე-ბით სრულდება, კავკასიის ოლქის მზრუნველის წინაშე იშუამდგომლებს, რომ სასწავლებელს ნება მიეცეს კურს-დამთავრებულებს შეღავათიანი მოწმობა მისცეს იმ წესით, რომელიც ორ-კლა-სიან სამინისტრო სასწავლებლებისათვის 1875 წ. შედგენილს ინსტრუქციაშია მოხსენებული. მთავრობამ შუამდგომლო-ბა შეიწყნარა და მართლაც მივიღეთ ცნობა, რომ ოლქის მზრუნველს დაუ-დგენია, ამ სასწავლებელში კურს-დამთა-ვრებულთ მოწმობაში ჩაეწეროთ, რომ სარგებლობენ შეღავათით, რომელიც სამხედრო სამსახურის წესდების მეორე პუნქტის მე-64 მუხლშია ნაჩვენები. საზოგადოებას ეს ამბავი მეტად ესია-მოვნა.

ეხლა თუ სასწავლებელს ბედმა გაუ-ღიმა და 500 მანეთი წლიური დახმა-რებაც დაენიშნა სამინისტროსაგან, რო-გორც გვაქვს კიდევაც ნათხოვნი, მაშინ ხომ ამ სასწავლებლის საქმე საკმაოდ კარგად გამოკეთდება.

გუშინ, 11 მაისს, ჩვენი საზოგადო-ებიდგან ქ. ქუთაისში 24 კაცი იქმნა გამოგზავნილი, რომელთაც ს. ვანში ებრაელების თავ-დასხმისა და მათის გა-ძარცვისათვის სასჯელი აქვთ გადაწყვე-ტილი. დასჯილნი სთხოვენ მთავრობას, რომ მუშაობის გათავებამდე მოუცადონ და შემდეგ დასაჯონ.

ვლადო ბზვანელი

# რუსეთი

როგორც ვწერეთ, გაისს 200 წელი-წადი უსრულდება რუსეთის პრესას. ამ იუბილეისათვის მოსკოვის ბეჭდვითი საქმის საზოგადოებას აზრადა აქვს და-აარსოს მოსკოვში ლიტოგრაფიის სკო-ლა. ამავე დღისთვის ჰფიქრობენ ბეჭ-დვითი საქმის მუზეის გამართვას.

— ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გადაუცია საერო განათლე-ბის სამინისტროსათვის რეალურ სასწა-ვლებლების ცვლილებათა პროექტი. პრო-ექტით რეალურ სასწავლებლებში განზრა-ხულია პრაქტიკულ მეცადინეობათა შე-მოღება.

— მთავრობას აზრადა აქვს გაადი-დოს ფინლიანდიაში ცენზორთა შტატი. ამას გარდა აწესებენ ცენზორის ახალ თანამდებობას, რომელსაც საზღვარ გა-რეთიდგან შეტანილ წიგნების გადათვა-ლიერება ექმნება მინდობილი.

— საერო განათლების სამინისტრო მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისს შეუდგება განხილვას საკითხისას ებრა-ელთა სკოლებში პირველ დაწყებით სწა-ვლა-განათლების მოწყობის შესახებ.

— ამ ბოლოს დროს რუსეთის ბევრ ქალაქში გაჩნდა ცეცხლი და გაანადგურა სახლები. სხვათა შორის, ამ დღეებში კრონშტადტშიაც წაჰკიდებია სახლებს ცეცხლი. ზარალი 200 ათას მანეთს აღემატება თურმე.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწი-ფო ქონებათა სამინისტროს გადაუ-წყვეტია გადაათვალიეროს წესდება იმ უმაღლეს სასწავლებელთა, რომელნიც ამ სამინისტროს ექვემდებარებიან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტს ლაპარაკი აღუძრავს ფერშალთა მდგომარეობის გა-უმჯობესობისა და საფერშლო სწავლა-განათლების მოწყობა-განკარგების შე-სახებ.

— „Бирж. Вѣдом.“ შემდეგი სა-ბუთის ქაღალდი მოჰყავს: „მურზიცის სასამართლოში ტიხომირის გლეხის, ია-კობ ერშოვის განცხადება“:

„უმორჩილესად ვთხოვ სასამართლოს დაიბაროს სოფ. ტიხომირის გლეხი ივანე მიხეილის ძე ელევი. ამ გლეხისაგან მე, ერშოვმა, ვიყიდე საკუთარი მისი ცოლი, ელისაბედ ანდრიას ასული, 20 მანეთადა და ორ ბოთლ არაყად. ფული და არაყი გადავეცი ელევს, მაგრამ დღემდე არც თვისს ცოლს მაძლევს და არც ფულს მიბ-რუნებს. მოწმეებად ვასახელებ სოფ. ტი-ხომირის მცხოვრებთ ივანე მედნოვსა და მაქსიმე დუდენკოვს. ერშოვის მაგიერ ხელი მოაწერა მაქსიმ დუდენკოვმა“.

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ლო-რდის კიტჩენერის ბადონძელის მოხსე-ნების შესახებ, რომელსაც თითქმის ყვე-ლა ინგლისურმა გაზეთმა ყურადღება მი-აქცია, „Revue gènèral dè droit international public“-ში დაბეჭდი-ლია ფრიად საყურადღებო წერილი ტუ-ლუზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების კათედრის პროფესსორის მე-რინჟისა; აღნიშნულის მოხსენების შესა-ხებ პროფესსორი აი რასა სწერს:

„მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა 1899 წლის 24 ივლისს გააგაში შემუ-შავებულს ხელ-შეკრულობას ხელი მოა-წერა, ტრანსვაალთან ომის დროს უოვე-

---

**დარნლეი.** (გულზედ მოეხვევა). ოჰ, რა ძლიერად მწყურიან სიყვარული!

**ნოქსი.** ეცადე მხოლოდ, რომ უფ-რო ღირსეულს შესძლენა იგი. ახლა-კი, შვილო, უნდა დაგტოვო: მო-ვალე ვარ დედოფლის მობრძანებას დავესწრო; უთუოდ შენც იქ იქნები?

**დარნლეი.** ოჰ, ნეტა, რად მომა-გონე? იშვიათს სიმშვიდეს და ბედ-ნიერებასა ვგრძნობდი, რაიცა დიდი ხანია აღარ მიგრძვნია.

**ნოქსი.** მაგრამ სცდები, შვილო, თუ უბრძოლველადა ჰფიქრობ მშვი-დობის მოპოვებასა; უნდა ყოველ-სავე დაცინვასა და შურს გაუძლო, თორემ უამისოდ ვერც ერთი მკურ-ნალი ვერ გიხსნის! შენც უთუოდ სასახლეში იქნები, არა?

**დარნლეი.** დიახ.

**ნოქსი.** მაშ, წადი!

**დარნლეი.** ოჰ, მხოლოდ მისთვის, რომ განვეცადო კვლავ დამცირება!

**ნოქსი.** არა უშავს-რა, მოითმი-ნე! მაგაზედ ადვილად ვერც მხნეო-ბასა და ვერც პატიებას ვერ ეღირ-სები!

**დარნლეი.** ჩემს ტანჯვას შენ ვერ მიჰხვდები, ნოქს!.. შენ იმდენად ძლიერი ხარ სულითა...

**ნოქსი.** ერთს გეტყვი: თუ რომ შენგანვე დამსახურებულს დამცირე-ბას ვერ აიტან, მაშინ ვერც ღვთის წყალობას ეღირსები, ვერც მე გიშ-ველი!

**დარნლეი.** გაჭირვების დროს რომ ძალამ მიმტყუნოს...

**ნოქსი.** მაშინ ვილოცოთ!

**დარნლეი.** მერე, დამეხმარები მა-შინ?

**ნოქსი.** რაც-კი შემეძლება უთუოდ! ახლა-კი წავიდეთ.

**დარნლეი.** (პლაჩს აიღებს) გავეხვიო.

**ნოქსი.** ამ ზაფხულის დღეში? რა საჭიროა!

**დარნლეი.** იმად, რომ აქედგან გასვ-ლის დროს არავინ დამინახოს.

**ნოქსი.** როგორ? ერთს დროს, როცა ყველა თვალით გიცქეროდა ხოლმე გარყვნილობის სახლიდამ როგორ გამოდიოდი, მისი არა გრცხვენოდა და ახლა-კი გესირცხ-ვილება?

**დარნლეი.** მაპატიე, მამაო... უპ-ლაშჩოდ წამოვალ (პლაშჩს გადააგ-დებს).

**ნოქსი.** აი, აგრე, შვილო!

**დარნლეი.** წავიდეთ მაშ!

**ნოქსი.** წავიდეთ (ხელს ჩასჭიდებს დარნლეის და კარებისაკენ მიდის).

**დარნლეი.** მაგრამ ხალხში... რო-გორც-კი დამინახავენ, ყველა ჩურ-ჩულობს, იცინიან...

**ნოქსი.** ჩემთან მაგას ველარ გაჰ-ბედვენ!

**დარნლეი.** მოვდივარ, მაშ, მოვ-დივარ! (გადიან).

(დეკორაცია გამოიცვლება)

გამოსვლა III.

ჰოლიერუდის ციხის სატახტო დარბაზია.

(მუსიკა უკრავს. მოსჩანან მრავალნი მო-ქალაქენი, კეთილშობილნი და სასახლის-კაცნი დედოფალი ტახტზედა ზის მშვენიე-რის ბალდახინის ქვეშ, მარჯვნივ გრაფი მურრეი უდგას, მარცხნივ ლორდი სტიუ-არტი, პრესვიტერიანნი—მოქალაქენი ჯგუ-ფად იმღერიან).

ღმერთო მართალო, მოგვეცი ძალა!
და იარაღი მტერთან საბრძოლად!
თუ გსურს ჩვენი დახმარება,
მოგვანიჭე გამარჯვება!
დაემხვნენ მტერნი!
დაემხვნენ მტერნი!
ცა მოუქუდე შავის ღრუბლებით,
შთანთქე უბსკრულში ხელით ძლიერით,
გაჰფანტე თესლი
უღმრთო ხალხისა!
მაგრამ შემდგომად შურისძიების
კვლავ ცისარტყელა დე, მოგვევლინოს,
და ჩვენ, შენთა ყმათ, სიყვარულისა
ნიშნად მტრედმა შტო გადმოგვაწვდინოს!

**მოქალაქეთა წარმომადგენელი.** (ტახტის წინ მუხლს მოიდრეკს). ქა-ლაქ ედინბურგის მოქალაქე-პრესვი-ტერიანთა კრებამ დამავალა, რომ თქვენს უდიდებულესობას მათი უქ-ვე მევრდომილესი გრძნობა გამოვუ-ცხადო! ვითხოვთ-რა თქვენგან მფა-რველობას ჩვენის ეკკლესიისას, მო-გილოცავთ მოღალატეებსა და მტრე-ბზედ გამარჯვებასა და უზენაესს შევთხოვთ, რომ ახლად დაბადე-ბულს მემკვიდრეს, რომელიც მალ-ლიდამვე მოგვევლინა ამ ორთა სა-ხელმწიფოთა შესაერთებლად, მად-ლი თვისი უხვად მოჰფინოს (აღგება). მარიამ დედოფალი შოტლანდიისა ღმერთმა აკურთხოს! (ამასვე გაიმეო-რებს მუსიკა და ყველა დამსწრენი).

**დედოფალი.** ჩვენც ჩვენს მოქალა-ქეებთან ერთად მადლობას ვსწირავთ განგებას, რომ კვლავ გამარჯვე-ბულნი შემოვედით ქალაქში. მეამ-ბოხენი, რომელთაც-კი ჩვენს ტახტ-სა და მეფობას წინააღმდეგობა გა-უწიეს, ან კანონმა დაჰსაჯა და და-პატიმრებულ იქმნენ, ან არა-და გა-ნიდევნენ. ღმერთმა ერთხელ კიდევ დაანახვა ჩვენს მტრებს, რომ მეფო-ბა ჩვენი მისგან არის ნაკურთხი და გვმფარველობს კიდეც. თვით ამ შფოთვისა და ბჯანყების დროს ინე-ბა და მოგვცა მემკვიდრე, რომლის ნორჩს სიცოცხლესაც თქვენ გან-დობთ, შოტლანდიის შვილნო! ახ-ლა იმათ გამოვუცხადოთ მადლობა, ვინც ამ გასაჭირის დროს ერთგული სამსახური გაგვიწია და დაგვეხმარა: უპირველესად ყოვლისა მადლობის ღირსია გრაფი ბოტველი, შოტლან-დიის გენერალ-ადმირალი და საზღ-ვრის ლორდ-ლეიტენანტი. ღვთის შეწევნით ეს მეორედ დაიხსნა მან ჩვენი პატიოსნება და გვირგვინი! ამ მამაცმა მამულისშვილმა დაამარცხა მოღალატენი და შოტლანდიას კა-ნონი დაუბრუნა. ვსწუხვართ, რომ ამ ჟამად იგი აქ არ არის და ღირ-სეულად ვერ ვაჯილდოვებთ. ჩვენი მო-ვალეობაა მადლობა გარდავუხადოთ აგრეთვე ჩვენს ძმას, გრაფს მურ-რეის. გაჭირვების დროს საქმის მმა-რთველობა მან იკისრა და მშვიდობიანო-ბა ჩამოაგდო. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ყველა ჩვენს ერთგულსა და თქვენც, ედინბურგის მოქალაქენო! ახლა ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიც-ნობთ! მართალია, შოტლანდიის ტახტზედ ქალი ზის მეფედ, მაგრამ იცოდეთ, მეფობის ღირსების შეუ-რაცხ-მყოფელს დაუსჯელად იგი არასოდეს არ დასტოვებს, თუ თქვე-ნი ერთგულობა მფარველობას გამი-წევს!

**ყველანი.** დედოფალს გაუმარჯოს!

**მოქალაქეთა წარმომადგენელი.** (მუხლს მოიდრეკს). ქალაქს ჰსურს ეს დღე ბრწყინვალედ იდღესასწაულოს. უმორჩილესად ვითხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მცირე ხნობით მაინც არის დღესასწიულზედ დასწ-რება ინებოთ.

**დედოფალი,** (გახარებული). გმად-ლობთ ედინბურგის მოქალაქენო! ერთის საათის შემდგომ აქ ვიქმნები, რომ თქვენთან ერთად წამოვიდე. გმადლობთ! (სცენა დაცარიელდება). ახლა გვსურს ჯონ ნოქსს მოველა-პარაკოთ.

**დარნლეი.** (წინ წამოდგება და მუხლს მოიდრეკს). ნება მომეცით მეც მუხლ-მოდრეკით შევსთხოვო ზეცას თქვე-ნი კეთილ-დღეობა!

**დედოფალი.** გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ! ქალაქში შემოს-ვლის დროს გვეგონა თქვენც ჩვენ-თან იქმნებოდით, მაგრამ იმედი გა-გვიმტყუნდა. იმედია, მოქალაქეთა დღესასწაულს მაინც ჩვენთან ერთად დაესწრებით; ახლა-კი სხვები უნდა ვინახულოთ! (დარნლეი მდაბლად თავს დაუკრავს და უკან დაბრუნდება).

(შემდეგი იქმნება)

ლივე წესი და ჩვეულება ამ ხელშეკრულობისა ურცხვად დაარღვია, თითქოს იგი არასოდეს არც-თუ მიეღოს.

მართალია, ინგლისმა დაიცვა სიტყვა კანონისა, რადგანაც ამ საბუთის ქაღალდის მეორე მუხლით ხელშეკრულობა საგალდებულო იყო მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც გაასგის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ, მაგრამ უარ-ჰყო ამავე დროს სული და გული კონფერენციისა, რომელიც ყველა მონაწილეს ერთიანად ამოქმედებდა: უარ-ჰყო და დაარღვია ის დიდებული ჰუმმანიური იდეა, რომელიც გაასგის კონფერენციის ყველა გარდაწყვეტილებას სარჩულად დაედო, ხორცად შეესხა. საშუალება, რომელსაც სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ინგლისმა მიჰმართა, მოგვაგონებს მხოლოდ ძველის ომების საზარლობას და საზიზღარს მხარეს, რამაც ქვეყანა მთლად გაათხრა, უდაბნოდ აქცია.

ეჭვი არ არის, ევროპაში ინგლისი ამგვარს საშუალებას ვერასოდეს ვერ მიჰმართავს, რადგანაც თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოთ ხელშეკრულობაზედ ხელი უწერიათ, მაგრამ სხვაგან-კი, სადაც მას ხელი მიუწვდება, იმის თავდებობას ვერავინ გაგვიწევს, რომ ინგლისი ასრევე არ მოიქცევა“.

სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ბრიტანიის იმპერიასთან შეერთების შესახებ, —რაიცა არც ერთს სახელმწიფოს არ ეუწყა,—მერინჟი ამბობს, რომ „ინგლისს არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონდა რესპუბლიკები მიესაკუთრებინა: არც რაიმე საერთაშორისო ტრაქტატი, არც თანხმობა თვითონ ამ ქვეყნების მცხოვრებთა და არც ნამდვილი დამორჩილებაო“.

— როგორც ბოლონდელ ცნობებიდგანა სჩანს, საქმეთა მდგომარეობა სამხრეთს აფრიკაში ისევ გამწვავებულა: ინგლისელები ბურებს რამდენჯერმე დაუმარცხებიათ. ნამაკვალენდში ბურებს ინგლისელების მზვერავი რაზმი ტყვეთ წაუყვანიათ. დორნკოპის მახლობლად ბურების გენერალს მალანს ინგლისის რაზმი მოუმწყვდევია და მთელის დღის ბრძოლის შემდეგ ნახევარი რაზმი ტყვეთ წაუყვანია. ყველა მხრიდგან წვრილ-წვრილი ცნობები მოდის, რომ ბურები ინგლისელებს ამარცხებენო. ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთი ნაწილი მთლად გერცოგისა და ბრანდის ხელშია.

— ბურების სახელ-განთქმული გენერლის დევეტის ვინაობა სწორედ საზღაპრო ამბათ გადიქცა: ზოგნი ამბობენ— უმაღლესი განათლება აქვს მიღებულიო, ზოგნი-კი —სრულიად უვიცი და უსწავლელიაო. „Temps“-ის ბოლონდელ ცნობებით-კი იგი თურმე შვილია გამოჩენილის სახელმწიფო მოღვაწისა, რომლის სახელსაც ქალაქი დევეტსდორპი დღემდის ატარებს. ქრისტიანე დევეტი 20 წლისა ორანჟეს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად ამოურჩევიათ, გამარჯვება და სახელი მოუხვეჭნია თავისის დაუღალავის მხნეობითა და შეურყეველის მტკიცე რწმენით, რომ ბურები მართლები არიან და უთუოდ გაიმარჯვებენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამერიკის რკინის გზათა საზოგადოებანი ძალიან სცდილობენ ვაგონები სამაგალითოდ მოაწყონ, რომ არავის დაეტყოს დაღლა მგზავრობის დროს. ამისათვის ფულს არა ჰზოგავენ და საზოგადოდ, მგზავრების მხიარულებისათვის არ აკლებენ. ერთი საზოგადოება, მაგალითად, ეს რამდენიმე თვეა თავის რკინის გზებზედ მგზავრებს ყვავილის მშვენიერ თაიგულებს ურიგებს. ყვავილებს აძლევენ ყველას, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, პირველის, მეორის და მესამე კლასის მგზავრებს. ერთს სადგურის მახლობლად საზოგადოებას მშვენიერი ბაღი აქვს, სადაც ყოველგვარი ყვავილი მოჰყავთ. განსაკუთრებულ მოხელეებს დავალებული აქვთ, მატარებლის გაჩერებისას დაიარონ ვაგონები და დაურიგონ მგზავრებს თაიგულები.

* * *

კარგა ხანია სტრასბურგის უნივერსიტეტში ლაპარაკი აქვთ ქალების მიღების შესახებ. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გადასწყვიტა კონფერენციამ ნება მისცეს ქალებს უნივერსიტეტში შესვლისა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სტრასბურგის უნივერსიტეტში შესვლა ქალებს მაინც ძალიან გაუჭირდებათ. ცენზის გარდა (ახლად შემსვლელს გიმნაზია ან რეალური სასწავლებელი უნდა ჰქონდეს გათავებული) საჭიროა, ყველა პროფესორმა ნება დართოს ქალს ლექციების მოსმენისა. ლექტორს უფლება აქვს მიზეზთა განუმარტავად ნება მისცეს ან აუკრძალოს ქალს ლექციებზედ სიარული.

* * *

ლეიპციგში აზრადა აქვთ ძეგლი აუგონ ნემეცთა დიდებულ პოეტს გეტეს. ძეგლისათვის საჭიროა სულ 30,000 მარკა; უკვე შეუკრებიათ 21,000 მარკა.

* * *

როგორც უკანასკნელად შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლობს სულ 25,901 სტუდენტი (რუსეთში სტუდენტთა რიცხვი 15,000 კაცს არ აღემატება). აქედგან პარიჟშია 12,289 სტუდენტი, ლიონში—2,458, ბორდოში—2,119, ტულუზაში—2,190. მონპელიესა, რენსა, ლილლსა, ნანსსა და სხვაგან უფრო ნაკლებია. ფაკულტეტებად ასეა განაწილებული: იურიდიულზედ—9,768 კაცი, სამკურნალოზედ—8,393, ფილოსოფიურზედ —3,762, საბუნების-მეტყველო და მათემატიკურზედ—3,164 და საფარმაცევტოზედ—2,868 კაცი სტუდენტი-ქალი საფრანგეთში სულ 942, აქედგან 600 ფრანგია და 342 უცხოქვეყნელი. ამ უკანასკნელთა შორის პირველი ადგილი რუსეთის ქვეშევრდომთ უჭირავთ (237 ქალი).

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 მაისი.

**პეტერბურგი.** 16 მაისს აქ ჩამოვიდა პრინცესსა ევგენია მაქს მილიანეს ასული ოლდენბურგისა.

**პონევეჟი.** სასოფლო მეურნეობისა და პირუტყვთა მოშენების გამოფენა გაიხსნა.

**ვარშავა.** ციმბირთანა და შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულებათათვის საზოგადოება „შუამავალი“ შესდგა. ადგილობრივმა ფულის პატრონებმა ოხოტსკი ზღვის ნაპირებზედ ოქროს მადნების სამუშავებლად ამხანაგობა შეადგინეს. ამხანაგობამ ციმბირში სამი სამთო ინჟენერი გაჰგზავნა. აღმოჩნდა, რომ ფოსტისა და გერბის ნახმარი მარკები უწმენდიათ და შემდეგ ისევ უხმარებიათ; უპოვნიათ ათი ათასი ფოსტის მარკა და ოთხი ათასი გერბის მარკა სხვა-და-სხვა ღირებულობისა, გასასყიდათ დამზადებული. დამნაშავე დავით სენნიცერი შეპყრობილია.

**მოსკოვი.** საბჭომ დაადგინა, გლეხთა განთავისუფლების დღიდგან ორმოცის წლის შესრულების სახსოვრად პირველ-დაწყებითი სწავლა მოსკოვში საყოველთაოდ ხელმისაწვდომად და სავალდებულოდ ჰქნას. ამ მიზნით, საჭიროდ დაადგინა განახლდეს ხუთი [illegible] პირველ დასაწყის სასწავლებლის გარდა 1901 წ. აგვისტოში თხუთმეტი კიდევ სხვა გახსნას და ყველა ამათ უწოდოს სახელად „სახსოვარი გლეხთა განთავისუფლების დღიდგან ორმოცის წლის შესრულებისა“. მიენდოს ქალაქის გამგეობას 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში შეტანილ იქნას საჭირო ხარჯი აგრეთვე იმ სხვა 15 პირველ-დასაწყისი სასწავლებლისა, რომლებიც მომავალის 1902 წლის აგვისტოში იქმნებიან გახსნილნი; და მიენდოს ქალაქის სასწავლებელთა კომისიას 1902—1903 წ. წ. გაზაფხულზედ თავისი მოსაზრებანი წარმოადგინონ იმის შესახებ, თუ 1903 და 1904 წ. წ. ქალაქის გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვაში რამდენი ახალი სასწავლებლისათვის უნდა იქმნას ხარჯი გადადებული. როგორც ხმა დადის, სოლოდოვნიკოვს ანდერძი დაუტოვებია, რომ ყველა აქციები, ფასიანი ქაღალდები და უძრავი ქონება ფულად აქციონ; 10—15 წლის განმავლობაში ფულად ქცეული თანხიდგან მისს ნათესავებს მიეცეს 50-დგან 300 ათას მანეთამდე თვითოეულს, ხოლო დანარჩენი 30 მილიონზედ მეტი ფული სამ ნაწილად იქმნეს გაყოფილი და საქველ-მოქმედო საქმეს მოჰხმარდეს: ერთი მესამედი მოჰხმარდეს დედათა გიმნაზიების დაარსებას იმ ტიპით, როგორიც ვიატსკის გუბერნიაში ორლოვსკშია: ერთი მესამედი ქალთა და ვაჟთა პროფესიონალურს სკოლებს, რომლების დაარსებაც ერობათ მიენდობათ, ხოლო დანარჩენი მესამედი მოჰხმარდეს ღარიბთათვის იაფ-ფასიან სადგომების აშენებას.

**ჩისტოპოლი.** ამინდი უფრო ცივაა; წვიმები ცოტაა; ჯეჯილები კარგა ვერ იზრდება. ზოგიერთ ადგილას ანეულები ახალ თესლებათ გადახნეს.

**შანხაი.** 4,000 აჯანყებული სიჩუანში კვინჩოუს პროვინციას თავს დაესხა; ხალხი დიდს შიშშია. ამბობენ, იუნნანიდგან კიდევ 3,000 სხვა გამოუშვეს, რომ ამათ შეუერთდნენო.

**პეკინი.** ორშაბათს 4,000 ჩინელი ჯარის-კაცი ჩჟანის უფროსობით იუანშიკაიმ შანდუნიდგან პეკინში გაჰგზავნა. სასახლის უკან დასაბრუნებლად საჭირო მომზადება ჩჟოუფუს აქვს მინდობილი, რომელიც წინად სამისსიონერო საქმეთა კომისარად იყო. გეგმა სასახლის უკან დაბრუნებისა ჩჟილის პროვინციით უკვე შედგენილია.

**გონკონგი.** შავი ჭირი თან-და-თან მძვინვარებს; ამ ბოლოს დროს შავი ჭირისაგან დღეში 30 კაცზედ მეტი იხოცებოდა.

**მადრიდი.** დედოფალმა-რეგენტმა პეტერბურგის საზღვაო საავადმყოფოს უფროს მკურნალს რამბახს „საზღვაო სამსახურის“ ორდენი უბოძა.

**პეკინი.** ეგზამენების გაუქმების საქმე გარდაწყვეტილია. გამოცდა სამეცნიერო ხარისხის მისაღებად შეიძლება კიდევ დარჩეს პეკინში, მაგრამ მხოლოდ იმ პროვინციალურ კანდიდატებისათვის, რომლებსაც არეულობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**პეტერბურგი.** 16 მაისს, დილით, ყინულის მჭრელი გემი „Ермакъ“-ი ჩრდილო პოლიუსისაკენ წავიდა. კომანდირი, ოფიცრები და გემის დაბალნი მსახურნი ნათესავებსა და ნაცნობებს გულწრფელს სალამს უძღვნიან და სთხოვენ [illegible] 26 მაისამდე ინგლისის გაბჭანებენ, ნოვესკილში.

7 მაისი

**პეტერბურგი.** უსტ-ზვინსკის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი სვეჩკოვი ტავასტგუსსკის გუბერნატორათ იქმნა დანიშნული.

**ბაქო.** ბალახანაში ამხანაგობის „ბახტის“ ათი ვიშკა გადაიწვა, ორი ვიშკა ძმ. კრასილნიკოვებისა, ორთხი ნადეჟინის მემკვიდრეობისა, სამი ნავთის აუზი „ბახტისა“, ნავთის აუზები და ბეღლები ნადეჟინისა. 16 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ბიბი-ეიბათში „ბიბი-ეიბათის ამხანაგობის“ სამრეწველოებს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ნავთის შადრევნები და ბეღლები

**ლონდონი.** როგორც ზარალის ოფიციალურ სიიდგანა სჩანს, ამ ბოლოს კვირაში სამხრეთს აფრიკაში 42 მოუკლავთ და 92 დაუჭრიათ; ამ რიცხვების უმეტესობა ბეტელსა და სტანდერტონს შუა მომხდარს ბრძოლას უნდა მიეწეროს.

**ვენა.** ერც-ჰერცოგმა ფრანც-ფერდინანდმა ბუგის მე-26 დრაგუნთა რაზმის ოფიცრების დეპუტაცია მიიღო სანახავად და რაზმის მიერ შეძღვნილ სურათისათვის მადლობა გარდაუხადა. ნაშუადღევს ოფიცრები და რუსეთის საელჩოს წევრნი ერც-ჰერცოგის სუფრაზედ იქმნენ მიწვეულნი.

**ტიანძინი.** ბრიტანიის ორი გემი ტონგკუში მოვიდა, რომ აქედგან ჯარები ინდოეთში გადაიყვანოს. დღეს ერთი სხვა გემი მოვა კიდევ და ერთს რაზმს ბელუჯიში წაიყვანს.

**ვეი-ხაი-ვეი.** გენერალი ვუარინი მოელის, რომ, რაკი დადგენილ იქმნა ჩინეთიდგან საერთაშორისო ჯარები გამოიყვანონ, საფრანგეთიც გააუქმებს განკარგულებას, რომლითაც გარდაწყვეტილი იყო დროებით საფრანგეთს ჩინეთში ჯარი ჰყოლოდა. გენერალი დარწმუნებულია, რომ ჯარების უკან წასაყვანად მალე გემები მოვლენა

გენერალი ლორდი კემპბელი აცხადებს, რომ ტიანძინში ამ ჟამად საერთაშორისო დამოკიდებულება ბევრათ უმჯობესია, ვიდრე საერთაშორისო ჯარების მოსვლის დღიდგან აქამდე იყო.

**ბერლინი.** როგორც „Lacoh Anzeiqer“-ს გაუგონია, გვარდიის მე-2 ქვეითა ბრიგადის დღესასწაულობისა გამო გამართულს საუზმეზედ, რომელსაც გენერალი ბანკალი და მისი ადიუტანტი დაესწრებიან, იმპერატორს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც გაუხსენებია ჯერ იმპერატორი ფრიდრიხი და შემდეგ უთქვამს, სიამოვნებით შემიძლიან ვეუწყო ყველას, რომ შორეულს აღმოსავლეთში საქმე მშვიდობიანად მორიგებით გათავდა და მე ამ შემთხვევისა გამო მრავალი თანაგრძნობისა და მადლობის წერილები მივიღეო. დასასრულ იმპერატორმა შეჰნიშნა, რომ დაესწრო ორი ოფიცერი და შეჰნიშნა, რომ გერმანიის და საფრანგეთის ჯარი საერთო მტრის წინააღმდეგ ძმურადა და ერთგულად პირველად იბრძოდნენო. სიტყვის უემდეგ ამ ორის ოფიცრისა და მათის მხედრობის პატივსაცემლად “ვაშა ბერძენის“ იძახდნენო. გენერალმა ბონნალმა ასეთის ყურადღებისათვის მადლობა გარდაუხადა და გერმანიის ჯარის სადღეგრძელო მისის იმპერატორ-ჯარის-კაცის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

**კრადოკი.** როგორც [illegible], პალაკიში ინგლისელებს 200 ბური დაუჰმორჩილებიათ.

**გონკონგი.** ოფიციალურად. 12 მაისამდე, ერთის კვირის განმავლობაში შავის ჭირით 200 გახდა ავად, ამათგან 187 მოკვდა.

**იოკაგამა.** როგორც სეულიდგან იუწყებიან, კველპარტის კუნძულზედ ქრისტიანების წინააღმდეგ მოძრაობა დაწყებულა; ერთი ფრანგი კათოლიკე მისსიონერი მოუკლავთ. ეს ცნობა ჯერ დამტკიცებული არ არის.

სამხედრო მინისტრათ ნამყოფმა კეთილშობილმა კატარუსამ კაბინეტის შედგენაზედ უარი განაცხადა.

**სოფია** კრება მინისტრთა ბრალდების განხილვას შეუდგა; მინისტრებად ნამყოფი ივანჩევი და ტონჩევი პირადად გამოცხადდნენ, დანარჩენებმა წერილობითი ჩვენება გამოგზავნეს. რადისლავოვი გამოწვევაზედ არ გამოცხადდა. ტონჩევმა თავის-და გასამართლებლად გრძელი სიტყვა წარმოსთქვა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ტფილისის ყასბების თავ-გასულობა და თვით-ნებობა ცნობილია ყველასათვის. განსაკუთრებით წრეს გადასულია მათი საქციელი ქალაქის მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებში, სადაც პოლიცია და მეთვალ-ყურე იშვიათად შეიხედავს ხოლმე. ერთი ასეთი ადგილი რკინის გზის მახლობლადაა, მარტყოფისა და კრონზნის ქუჩები. ამ ქუჩაში არის ორი ხორცის დუქანი, რომელთათვისაც არ არსებობს არავითარი ნიხრი და კანონი. გირვანქა ხორცში 11—12 კაპეიკს გვახდევინებენ და ხორციც ან ძველი, აყროლებული უნდა იყოს, ან არა-და—კამეჩისა. თუ როგორმე შენიშნეთ და უთხარით რამე ამ ვაჟბატონებს, მაშინვე მოგახლიან პირში— ჩვენი ნებაა, როგორც გვინდა, ისე გაყიდით ხორცს, თუ არ მოგწონთ, წადი და „პოლიციაში გამოაცხადეო“. თუ ერთი სიტყვაც კიდევ მეტი წამოგცდათ, მაშინ-კი მშვიდობით: ისე გაგხდიან, რომ აღაზანმა და იორმაც ვედარ გაგრეცხოთ.

საჭიროა ჩვენ, ქალაქის განაპირა ადგილებში მცხოვრებთაც, ყურადღება მოგვაქციონ იმათ, ვისგანაც ეს საქმე დამოკიდებული, და დაავალონ ყასბებს, რომ დადგენილ ნიხრის თანახმად ჰყიდონ ხოლმე არა აყროლებული, გახრწნილი და კამეჩისა, არამედ ძროხისა ან ხარის ხორცი; ამასთან ცოტა ადამიანურად მაინც მოექცნენ ხოლმე ეს ყასბები მყიდველებს.

ვასილ ნაცვლიშვილი


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ 21 მაისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბარში. სულ 23 დესეტინაა გაჯიანი ადგილი.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, იმან 100 მანეთი ბე უნდა შეიტანოს. (3—5.—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Мая 1901 г. სტამბა ამ. ივ. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე